გურული მოჯირითეები უცხოეთში

მანანა ლომაძე
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი
ელ-ფოსტა: mananalomadze@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0001-6858-7990

აბსტრაქტი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გურია მოიცვა ამერიკაში გამგზავრების სურვილმა, ამის მიზეზი იყო სარფი და თავის გამოჩენა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ბათუმში ჩამოდის ამერიკის საერთაშორისო ცირკის წარმომადგენელი თომას ოლივერი. იგი დაბინავდა ამერიკის ბათუმელ კონსულთან ჯეიმს ჩემბერსთან. მისი ჩამოსვლის მიზანი იყო მოჯირითეთა შერჩევა. თომას ოლივერმა კონსულთან გაიცნო ზემო ჩიბათელი კირილე ჯორბენაძე, რომელმაც დახმარება აღუთქვა. წამოვიდნენ ლანჩხუთში გზად შეიარეს სოფელ ბახვში ცხენოსნობაში განთქმულ ივანე მახარაძის ოჯახში. გადაწყდა, რომ გუნდს შეკრავდნენ. 1893 წელს გავიდა გურულ მოჯირითეთა პირველი ჯგუფი ამერიკაში. აქედან მოყოლებული თითქმის 30 წლის განმავლობაში 150 მეტი ქალბატონი და მამაკაცი 105 ჯერ იყვნენ უცხოეთში, რომელთაცთავისი საშემსრულებლო ოსტატებით აღფრთოვანებაში მოჰყავდათ მაყურებელი. ამერიკელ მკვლევარი დი ბრაუნი წერდა: „ჯირითობა როდეოში შემოვიდა კაზაკების დასიდან, დაიტერესდნენ რა კაზაკთა ტრიუკებით, რომლებიც სრულდებოდა გაჭენებულ ცხენზე, ვესტერნმა კოვბოება, მალე წარუდგინეს მისი სახე სხვაობა ამრეკულ როდეოს“. გურულ მოჯირითეების საზღვარგარეთული ტურნეების შესახებ მრავალი კვლევა, ნაშრომი მიეძღვნა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსების მიერ. დღეს უკვე ცნობილია, რომ ესენი კაზაკები კი არა ქართველი-გურული მოჯირითეები იყვნენ.

საკვანძო სიტყვები: ჯირითი, მოჯირითეები, კაზაკები, ამერიკული როდეო.

***

როგორც უცხოელი, ისე ქართული წყაროები მოწმობენ, რომ საქართველო მხედრული ტრადიციების ქვეყანას წარმოადგენდა. აქ გავრცელებული იყო ცხენოსნობის სხვადასვა სახეობა - დოღი. ცხენოსნური თამაშები, ყაბახი, ისინდი, ჯირითი და სხვა.

ცხენის კულტის არსებობა მიუთითებს, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულებში ბალთებზე შემორჩენილი გამოსახულება, ხის ურიკები, ცხენის რიტუალური სამარხები, კოლხეთში, ნაოხვამუში აღმოჩენილი ჯიშიანი ცხენის ფიგურა, ადასტურებს, რომ ქართველ ტომებს ცხენის მოშენება-გაწვრთნაში არ ყოლიათ ბადალი.ზღუდერის სამაროვანში ვერცხლის პინაკის ძირზე გამოსახული ცეცხლოვანი ბომონდის წინაშე მდგარი ტორშემართული მოოქროვილი ცხენი III საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება.

რომაელი ისტორიკოსის დონ კასიოსის ცნობით, რომს სტუმრებია, ჩვენი საუკუნის 141 წელს ომის ღმერთისადმი მიძღვნილ დღესასწაულთან დაკავშირებით, იბერთა მეფე ფარსმან ქველი, დედოფალ ღადანათი, ვაჟიშვილი რადამისტითა და ქართველი წარჩინებულები. მარსის მოედანზე ომის ღმერთისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიუღია ქართველებს - მეფე ფარსმან ქველისა და მისი ვაჟიშვილის, რომელთა ასპარეზობამ მთელი რომი აღაფრთოვანა თურმე. პატივისცემის ნიშნად იმპერატორ ანტონინე პიუსის ბრძანებით ბელონას ტაძარში, საუკურთხეველთან აღმართეს ცხენზე ამხედრებული ფარსმან ქველის ქანდაკება.

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ცხენთან შეზრდილი ჩაუქი და მკვირცხლი გურულები არ ღალატობდნენ წინაპრების საქმეებს და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თავიანთი

ვირტოზული გამოსვლებით ართობდნენ და აღაფრთოვანებდნენ ევროპელ თუ ამერიკელ მაყურებლებს.

სწორედ ამ თემაზე გვექნება საუბარი წინამდებარე სტატიში. გაგაცნობთ გურულ მოჯირითეთა თვგადასავლებს, რომლებიც იყვნენ ამერიკული შოუბიზნესის სათავეებთან.

გურულ მოჯირითეთა გამოსვლებს არაერთი წიგნი და გამოკვლევა მიეძღვნა.

ამ თემას შეეხნენ ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები, მკვლევარები, მათ შორის აკადემიკოსი ამირან ცამციშვილი, რეჟისორი და მწერალი ირაკლი მახარაძე, ეთნოგრაფი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია, მწერალი ნინო ნაკაშიძე, კინო რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა, რომელმაც გადაიღო ფილმი „ვინ არის დამნაშავე“.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი და დამსახურება გურული მოჯირითეების წარმოჩინების საქმეში მიუძღვის ქართული წარმომავლობის ამერიკელს რიჩარდ ალექსის ჯორჯიან-გოგოხიას.

2000 წლამდე, გურულ მოჯირითეების უცხოეთში მოღვწეობაზე მეტ-ნაკლებად ვიცოდი ზემოთ დასახელებული მკვლევარებისა და მწერლების მიერ გადმოცემული ისტორიებით. მაგრამ 2000 წლის სექტემბერში, როდესაც მე გავიცანი ბატონი ჯორჯიანი, კარდინალურად შეიცვალა ჩემი შეხედულება მათ შესახებ. რიჩარდ ჯორჯინმა უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე და ჩავერთე მის მიერ შემოთავაზებულ კვლევა-ძიებაში.

ინტერეს მოკლებული არ იქნება გაგაცნოთ ის შეფასებები, რომლებიც გურულმა მოჯირითეებმა დაიმსახურეს. თედო სახოკია: „ამერიკის თვით საუკრთესო ცხენოსნებიც კი იძულებულნი დამხდარავ პირველობა დაელოცათ ჩვენებურთათვის“.

ველური დასავლეთის ცნობილი მკვლევარი დი ბრაუნი წერდა: „ჯირითობა როდეოში შევიდა, ხელაღებული, ყაჩაღანა კაზაკების დასიდნ, დაინტერესდნენ რა, კაზაკების ტრიუკებით, რომლებიც სრულდებოდა გაჭენებულ ცხენზე, ვესტერნმა კოვბოებმა, მალე წარმოუდგინეს მისი სახესხვაობა ამერიკულ როდეოს“.

150-ზე მეტი მოჯირითე გურული ქალი და კაცი, ყოველგვარი წერილობითი ჩანაწერების გარეშე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, მაგრამ ბედისწერის წყალობით კვალი დაამჩნიეს ცხოვრების გზას,შეიქმნა დავიწყებულ ხალხთა ამბები - ანუ ისტორია.

2000 წლის სექტემბერში სოფელ ბახვში რიჩარდ ჯორჯიანმა თქვა: ჩემი ამოცანა და საქართველოში ჩამოსვლის მიზანი ის არის, რომ მოვძებნო ოჯახური ისტორიები, ზეპირი გადმოცემები და დოკუმენტები, რათა დავანგრიო ყალბი ამერიკული მითი კაზაკების შესახებ. ამერიკელები, ხომ ამ ისტორიებს ამერიკული შოუბიზნესის დასაწყისად თვლიან და რაოდენ საამაყოა, რომ მის სათავეებთან სწორედ გურულები დგანან. მე დღეს სრულიად განსხვავებული ადამიანი ვარ იმისაგან, რაც აქამდე ვიყავი, უფრო მაღალი, სწორედ ამ სულიერმა მეტამორფოზამ გადამაწყვეტინა - უზარმაზარი ძალა, ენერგია, ფინანსები შემეწირა გურული ცხენოსნების თავგადასვლების წიგნად გამოცემისათვის, რომლებმაც არ იკმარეს თავიანთი საკედარო სოფელ- ქვეყანა და ახალ სამყაროში ცხენდახცხენ შეაბიჯეს“.

ვინ არის ჯორჯიანი?

მისივე სიტყვებით: ის არის სოფელ ფახლუანში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) დაბადებული ალექი ესტატეს ძე გოგოხიას შვილიშვილი, ალექსი უცხოეთში გამგზავრებულ მრავალ ქართველთა რიცხვს მიეკუთნება, იგი ოპოზიციურად იყო განწყობილი რუსეთის საქართველოზე განხორციელებული დომინანტური პოლიტიკის მიმართ და თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი აჯანყდა ამ რეჟიმის წინააღმდეგ, იგი სემინარიიდან გარიცხეს. 1893 წლის დეკემბერში ალექსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. 1896 წელს და მომდევნო წლებში შეუერთა ლუკა ჩხარტიშვილის ბუფალო ბილის უაილდ უესთის და ველური მოჯირითეების კონგრესს. ყველაფერი დაიწყო ბახვით, ივანე მახარაძით ამბობს რიჩარდი.

1892 წელს უილიამ ფრედერიკ ქოუდიმ, რომელიც ბუფალო ბილის სახელთ არის ცნობილი, მოაწყო შოუ 10 ქართველი მოჯირითისათვის ლონდონში, ინგლისში, მოჯირითეთა შორის იყვნენ: ივანე მახარაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, დიმიტრეი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია, ირაკლი ჭყონია, ლევან ჯორბენაზე, მოსე გიგინეიშვილი, ბესარიონ ცინცაძე და მელიტონ ცინცაძე. ისინი ლონდონში 1892 წელის 26 მაისს ჩავიდნენ. დედოფალმა ვიქტოიამ ბუფალო ბილს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მისი აღმატებულება დიდად პატივცემული იქნება თუ უაილ უესთის მენეჯერები, როგორმე მოახერხებენ, მათ კაზაკი მოჯირითეების უინძორის სასახლეში მობრძანებას და ცხენზე უკუღმა ჯირითის ჩვენებას მისი აღმატებულებისათვის“.

თვით ბუფალო ბილთან მომუშავე პრესის აგენტები ქართველ და გურულ მოჯირეთეებს „რუს კაზაკებს“ უწოდებნდენ.

1893 წელს პირველად ჩავიდა ამერიკაში ქართველ მოჯირიეთა ორი ჯგუფი. ერთი ბუფალო ბილისათვის მუშაობდა მსოფლიო გამოფენაში, ხოლო მეორე ჯეიმს ბეილის საკუთრებაში მყოფ ადამ ფორეპას ცირკში. ადამ ფორეპას ჯგუფში 12 მოჯირითე შედიოდა. ამათგან ერთი ქალბატონი ფრიდა მგალობლიშვილი იყო.

ქართველები ბუფალო ბილის შოუში 1895-1899 წლებში მოღვაწეობდნენ, ისინი ყოველწლიურად საქართველოდან ნიუ-იორკში ჩადიოდნენ აპრილში და სეზონის ბოლომე რჩებოდნენ, რაც ჩვეულებრივ ოქტომბრამდე გრძელდებოდა. სახლში ნოემბერში უკან ბრუნდებიდნენ.

ქართველთა პოპულარობამ იქამდე მიაღწია, რომ უაილდ უესთის ყველა შოუს სურდა, რომ მასში მონაწილეობა „რუს კაზაკებს“ მიეღოთ. 1900-1905 წლებში ქართველები ჯირითობდნენ 10 სხვადასხვა შოუში.

ბუალო ბილმა 1903 წელს თავისი შოუ კვლავ ჩაიტანა ინგლისში და 1906 წლამდე იმოგზაურა ევროპაში, ქართველი მოჯიღითეები ამ შოუთი ეწვივნენ ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, ავსტრიას, უნგრეთს, გერმანიასა და ბელგიას. რაც შეეხება დანარჩენ მოჯირითეებს ისინი სხვადასხვა შოუში მუშაობდნენ და მოგზაურობდნენ ამერიკის მასშტაბით. ქართველი მოჯირითეები არა მხოლოდ ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობდნენ, არამედ იყვნენ ამერიკაში, კანადაში,კუბაში.ასობით ქართველმა იმუშავა უცხოეთში 1892-1920 წლებში. ფრიდა იყო პირველი და ერთადერთი ქალი 1893 წლამდე, მაგრამ ბოლო წლებში სხვა ქალბატონებიც წავიდნენ და შეუერთდნენ მოჯირითეებს ამერიკაში.

დრო გადიოდა, ქართველები ყოველწლიურად ბრუნდებოდნენ შინ, ზოგი ამერიკაში რჩებოდა და მკვიდრდებოდა ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში, 1914 წლის მსოფლიო ომმა და 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ ხელი შეუშალა საქართველოსა და ამერიკას შორის მიმოსვლას. ამერიკაში მყოფ ქართველებს იქ დარჩენა მოუხდათ. ამგვარად ქართველთა კარიერა, როგორ უაილდ უესთის მოჯირითეების ფაქტიურად დასრულდა.

ისტორიამ მიივუწყა ის ქართველი მოჯირითეები, რომლებიც მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ საზოგადოების გასართობად.

აკადემიკოსმა ამირან ცამციშვილმა 1950 წელს აღადგინა უცხოეთში მყოფი ქართველი მოჯირითეების ისტორიის მცირე ნაწილი. ის ესაუბრა რამდენიმე მოჯირითე ადამიანს, თუმცა ისინი ფაქტებთან მიმართებაში დაბნეულობას ამჟღავნებდნენ.

კვლავ რიჩარდ ჯორჯიანს მოუხმობ: „მე ვალში ვარ ქართველი და გურული ხალხის წინაშე, ამიტომაც დავასრულებ ჩემს წიგნს და გამოვცემ მამაცი ქალბატონებისა და ბატონების ისტორიას, რომლებმაც საცხენოსნო ხელოვნებით გააკვირვა მსოფლიო და სახელი მოიხვეჭეს 100-ზე მეტი წლის წინათ.

წლების მანძილზე გარკვეული სახის კვლევებსა და ინფორმაციებს პერიოდულად ვაწვდიდი ბატონ რიჩარდს მისი მომავალი წიგნისათვის. კვლევებს ვაწარმოებდი, როგორც ოზურგეთის, ისე

ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში, პირადად ვეცნობოდი მოჯირითეთა ოჯახის წევრებს, რომლებიც მიამბობდნენ მეხსიერებაში შემრჩენილ ისტორიებს, გადმოცემებს. იყო შემთხვევები, როცა თავად მოსულან ჩემთან როგორც სამსახურში, ასევე სახლში. თბილისიდან სახლში მესტუმრა ლია მშვიდბაძე - იოსებ მშვიდობაძის შვილიშვილი, ჯიმშეთ ლომაძის რძალი - მაგნოლია ლომაძე, იაგორ კოპლატაძე -მარკოზ ჟღენტის შვილიშვილი. გურამ ქართველიშვილი და სხვა. მოჯირითეთა შთამომავლებს, გადმოცემით ახსოვთ, წინპართა საოცარი თავგადასავლები, გვიჩვენებენ ფერგადასულ, მაგრამ მრავლისმეტყველ სურათებს, სასწაულებრივად, რომ გადაურჩ-ნენ ჟამთა-სვლას, დღეს სიამაყით გვიამბობენ, თუმცა სიმართლე მათ შესახებ მარცვალ-მარცვალ შესაკრებია. რადგან ეს ისტორიები საუკუნეზე მეტს ითვლის.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო რამდენიმე მათგანზე და გაგაცნოთ მათი თავგადასავა-ლი.

კირილე ჯორბენაძე

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კირილე ჯორბენაძის პიროვნება, რომელსაც ამერიკის სა-კონსულოს გამგებელს უწოდებდნენ.

კირილე ჯორბენაძის სახელთანაა დაკავშირებული გურულ მოჯირითეთა ასპარესზზე გამოსვ-ლის დასაწყისი. მისი შთამომავლებიდან ცოცხალია ზექია ჯორბენაძე ლაზარე ჯორბენაძის შვილი, კირილეს ძმისშვილი (რომელიც მე 2001 წლის ოქტომბერში მოვინახულე თავის სახლში ჩიბათში) და კირილე ჯორბენაძის შვილიშვილი ალეკო ჯორბენაძე.

კირილე ჯორბენაძის უშუალი მონაწილეობით ხდებოდა გურულ მოჯირითეთა შერჩევა, რეკო-მედაციების მიცემა და საზღვარგარეთ გამგზავრება, ახლობლები, მას ანტრეპრენიორადაც იხსენიე-ბენ. დღემდე არსებული ლიტერატურა კი- ინგლისის „კონსულის ხელზე მოსამსახე ბიჭად“.

მოჯირითეთა შესარჩევად ბათუმში ჩამოვიდა ამერიკის ცირკის წარმომადგენელი თომას ოლივერი (1867-1943). იგი ამერკის კონსულთან ჯეიმს ჩემბერსთან დაბინავდა. კონსულთან მოჯა-მაგირედ იდგა ზემო ჩიბათელი კირილე ჯორბენაძე. კირილემ როცა გაიგო საქმის ვითარება, ოლი-ვერს მოჯირითეების შეგროვებაში დახმარება აღუთქვა. კირილემ ოლივერთან და ვიცე კონსულ ჰარი ბრიგსთან ლანჩხუთს მოაშურა, გზაზე სოფელ ბახვში მთელ გურიაში ცხენოსნობაში განთქ-მულ ივანე (დიდი) როსტომის ძე მახარაძე, მეტსახელად „მათრახა“-ს ოჯახში შეიარეს. მასთან მოლაპარაკება გამართე გადაწყდა სივანე გუნდს შეკრებდა. აქედან დაიწყო მოჯირითეების მრა-ვალწლიანი ტურნე საზღვარგარეთ.

ამ ფაქტს ადასტურებს გაზეთ „ივერია“-ში (1892 წ. 12 ივნისი N124) დაბეჭდილი სტატია: „ამ ორი თვის წინ, ბათუმის კონსულთან საზღვარგარეთიდან მოვიდა მდიდარი კაცი, რომელსაც ჩვენში „ინგლისელ თავადს“ უწოდებენ, ამ კაცს კონსულთან მყოფი გურული, გრძელი სამოსით მორთული „სილაღიანად“ ძლიერ მოეწონა, მდიდარმა სთხოვა ამ ბიჭს: „თორმეტი შენისთანა გამოწყობილი მოთამაშე მიშოვე და თვეში გაგიჩენ ჩემი ხარჯით 50 მანეთს, წაგიყვან ჩვენს ქვეყანაში, ექვსი თვის შემდეგ, ისევ ჩემი ხარჯით აქვე მოგიყვანო“.

ქალბატონი ზექია ჯორბენაძე მიამბობს: „ზემო ჩიბათელ ჯორბენაძეებს სწავლულ გლეხებს უწოდებენ. ოჯახი, ადაც ახლა მე ვცხოვრობ ხუთი თაობა აღიზარდა. თავიდან ხუთი ძმა ერთად ცხოვრობდა. ცეკვა-სიმღერა, ჯირითი და თამაში ხუთივე ძმამ კარგად იცოდა, განსაკუთრებით რთული ილეთების შესრულებით გამოირჩეოდნენ ივანე და ლაზარე. ლაზარე აკეთებდა თავყირა - უნაგირზე ხელებით დგომას, ივანე იდგა უნაგირზე და ხმლებს ათამაშებდა.

ძმები ამერიკაში წასვლამდე ვარჯიშობდნენ ლუკა ჩხარტიშვილის ეზოში. ლუკა ჩხარტიშვილმა გაკაფა თავისი ეზოს ნაწილი, როლმელსაც „მონგრეულას“ ეძახდნენ. როგორც შემდეგ ლუკა ჩხარტისვილს რძალმა მითხრა, დღეს ამ „მონგრეულას“ ადგილას შვიდი ოჯახი სახლობსო. ლუკა

ჩხარტიშვილის ეზოში იდგა დიდი მსხლის ხე და ამ ხის ქვეშ საუბრობდნენ და გეგმებს ადგენდნენ ამერიკაში წასვლის შესახებ.

საზრვარგარეთ წასვლის მსურველი ძალიან ბევრი იყო. 18-25 წლის ჭაბუკები, რომელთა მიზანი იყო სარფი და თავის გამოჩენაც. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულები კი ყვებოდნენ თავგადასავლებს, რაც კიგიდევ უფრო ზრდიდა წამსვლელთა ინტერესს. „ვერ გავკეთდები კაცი თუ“ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ყიდნენ ყველაფერს და იძენდნენ საჭირო ამუნიციას.

მსურველები თხოვნით მიმართავდნენ ლუკა ჩხარტიშვილს ჩაეწერათ ისინი მის გუნდში. ამის შესახებ ყოველდღიური ილუსტრირებული გაზეთი „კვალი“ 1897 წლის 9 მარტის ნომერში აქვეყნებდა პუბლიკაციას: „აგერ 5-6 წელიწადია, რაც ერთი გურულის ლუკა ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით ყოველ წელს 6-9 კაცი მიემცზავრება გურიიდან ჩიკაგოში, ნიუ-ოირკში გამოფენაზე,ბატონ ჩხარტიშვილს, ისეთი კაცები მიჰყავს, რომლებსაც ცეკვა და განსაკუთრებით ცხენზე თამაში იციან, თვითონ ჩხარტიშვილი ცხენზე თამაშში ისეა დახელოვნებული, რომ ვერც ერთი ცირკის მოთამაშე ვერ შეედრება და ყველას უკვირს, ამ სოფლად ცხნზე თამაში ასე როგორ შეისწავლა ამ კაცმაო, უცხოელებმა მას მიანდვეს მეთაურობა და დაავალეს აერჩია 8 კარგი მოთამაშე ბიჭი გამოფენაზე სათამაშოდ.

ამ ამბავმა ყველა სოფლის ბიჭი ფეხზე დააყენა, ყველამ მოინდომა წასვლა, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო მას მხოლოდ რვა კაცი სწირდებოდა. ამ ხუთ ექვს წელწადში ჩხარტიშვილმა 50-მეტი პირი წაიყვანა უცხოეთში და შესანიშნავი ქალაქებში დაატარა.

კვლავ კირილე ჯორბენაძეს დაუბრუნდეთ. იგი 1887 წლიდან ამერიკის კონსულის კამერდინერია (ხელზე მოსამსახურე ბიჭი).

ალეკო ჯორბენაძე - კირილე ჯორბენაძის შვილიშვილი გვიამბობს. კირილე ჯორბენაძე იმდენად კარგი მუშაკი ყოფილა, რომ მას ამერიკის საკონსულოს გამგებელს ეძახდნენო. ალეკოს შემორჩენილი აქვს მოწმობა გაცემული კონსულ ჯონი ჩემბერსის მიერ შედგენილი რუსულ ენაზე: „მიეცა ეს მოწმობა ჩემს მიერ ოზურგეთის მაზრის ჩიბთის საზოგადოების მცხოვრებ კირილე მაქსიმეს ძე ჯორბენაძეს მაზედ რომ ის იყო ჩემთან სამსახურში კამერდინერის თანამდებობაზე რვა წლის განმავლობასი. იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. არ იყო შემჩნეული რაიმე ცუდ საქმიანობაში, იყო წყნარი და ყურადღებიანი. იგი განთავისუფლდა ჩემს მიერ თავისი განცხადების საფუძველზე. ეს მოწმობა ეძლევა ჩემს მიერ მის ყოფაქცევაზე, რასაც ვამოწმებ ნოემბრის პირველ დღეს 1098 წელს, ქ. ბათუმი ჯონი ჩემბერსი, ამერიკის კონსული.

ამერიკის საკონსულოში მუშაობის დროს კირილრ ჯორბენაძე გავლენიანი და შეძლებული კაცი ჩანს. კირილეს ახლო ურთიერთობა ჰქონია კონსულთან. „ამ ხელზე მოსამსახურე ბიჭმა“, იმდენი იშრომა, რომ საკუთარი ბიზნესი წამოიწყო, რაზეც რეკომენდაცია და დახმარება, საწყისი კაპიტალი, თვით კონსულმა მისცა. კირილრმ გახსნა რესტორანი „ფლორიდა“ (ხისაგან აშენებული). ამ რესტორნისათვის კონსულმა ბათუმიდან წასვლის შემდეგ კირილეს დაუტოვა საკონსულოს კუთვნილი სერვიზი 50 პერსონზე, მოსკოვში დამზადებული, სერვიზი დანომრილია, რაც მიგვანიშნებს მის ორიგინალურობაზე, ნაწილი ამ სერვიზისა დღესაც ინახება ჯორბენაძეების ოჯახში. კირილე მეწილე ყოფილა სასტუმრო „ლონდონისა“ და ფლობდა მიწებს არდაგანში (ბათუმთან ახლოს იდგა არდაგანის სამხედრო პოლკის ნაწილი, ამიტომ ამ ადგილს არდაგანს უწოდებდნენ).

ამერიკის კონსულთან ახლო ურთიერთობას ისიც ადასტურებს, რომ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ,კონსულს მისი პატარა ვაჟი დასასვენებლად ბათუმში კირილესთან გამოუგზავნია, რამდენიმე ხნის შემდეგ კირილეს ბავშვისთვის თეთრი ჩოხა შეუკერავს და უკან გაუმგზავრებია. მოგვიანებით კოსნულის ვაჟი ჩამოდის საბჭოთა კავშირის მოწვევით ვოლგა-დონის არხის მსენებლობაზე. იგი იმავე წელს ჩამოდის ბათუმში კირილესა და მისი ოჯახის მოსანახულებად.

იმ დროს, საკმაოდ შეძლებული კირილე ჯორბენაძე, თავად ჯირითის დიდი ტრფიალი, ცხოველ ინტერესს იჩენდა მისი თანამოძმეების მიმართ, რასაც ადასტურებს მისი ფოტო გადაღებული 1903 წელს ჩიკაგოში მიმავალ გურულ მოჯირითეებთან ერთად.

თავდაპირველად კირილე აზიზიეს მოედანზე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა შემდეგ კი ბეი-ბუთოვის მოედანზე იყიდა ხუთოთახიანი კერძო სახლი ეზოთი. კირილეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ. 1922 წელს მთავრობამ ჩამოართვა მთელი ქონება: მიწა-მამული, ამას დაემატა ქალიშვილის - შუშანას გარდაცვალება, მას დაემართა ინსულტი, 15 წელი იავადმყოფა და 1938 წელს გარდაიცვალა.

კირილეს და თამარს ჰყავდათ ოთხი შვილი: ვალენტინა, შუშანა, დავითი და კარლო. დავითი მეოცე საუკუნის 20-იან წლებში წავიდა საზღვარგარეთ ჯერ სტამბოლში შემდეგ კი გერმანიაში, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი, იყო ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი. გასული საუკუნის 40-იან წელებში, მუშაობდა ხელოვნური კვარცის მიღებაზე. მიღებული კვარცის პირველი ეგზემპლარი ინახებოდა მისი მეგობრის და კოლეგის ოჯახში. ის ნიმუში შემდეგ გერმანიაში მივლინებით მყოფ დავითს ძმიშვილს სიმოს ჯორბენაძე გადაეცა, დავითი უცოლშვილოდ გარდაიცვალა გერმანიაში.

კარლოს ვაჟი ალეკო ჯორბენაძე ინტერვიუს ჩაწერის დროს (2002 წ.) მუშაობდა ბათუმის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგედ, იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ბაბუის დანატოვარი სახლის ადგილას აგებულ მრავალსართულიანი ბინის ერთ-ერთ სართულზე, იგი სათუთად ინახავს ბაბუის კირილე ჯორბენაძის ძველ დოკუმენტებს.

მიუხედავად გარდასულ წელთა სიმრავლისა მაინც შევძელით დაგვედგინა, რომ კირილე ჯორბენაძე იყო, ჯირითობის დიდი ტრფიალი, რომელიც „სილაღიანად“ ძლიერ მოეწონა ბათუმში ჩამოსულ უცხოელ აგენტს, შემდგომში უკვე საკმაოდ გავლენიან და წარმატებულ ბიზნესმენს, რომელიც ყოველნაირად ეხმარებოდა გურულ მოჯირითეებს.

ივანე მახარაძე „მათრახა“

გურულ მოჯირეთათაგან ვინც პირველმა დაადგა ფეხი ამერიკის მიწას, იყო ივანე მახარაძე. მისი შვილიშვილის ნელი მახრაძის გადმოცემით, ივანეს მამა, როსტომი, ოზურგეთის მაზრის სო-ფელ ბახვში ცხოვრობდა, მას ჰყავდა ოთხი ვაჟი: სილიბისტრო, ალექსანდრე, პავლე და ივანე - მეტსახელად „მათრახა“. მათ სახლი ბახვის წყლისპირას, დაბლობში მდებარეობდა. მამას ისინი ზეგანზ ცალ-ცალკე დაუსახლებია. ამ ზეგანს ქვედა ბახვში დღესაც მახარაძეების გორას ეძახიან ქვედა ბახველი მახარაძეები განთქმული ბაზიერები და კარგი მოჯირითეები ყოფილან. როსტომსაც ჰყვარებია ხალხური სიმღერები, მიმინოთი ნადირობა და ჯირითი. ივანე, პავლე და სილიბისტრო მოჯირითეები გახდნენ. ალექსანდრე კი მომღერალი იყო.

ივანე მახარაძის ბიოგრაფია იწყება ასე: ერთ დღეს 14 წლის ივანე მამამ ბახმარში მყოფ ნათესავთან გაგზავნა, თავლიდან საყვარელი ცხენი გამოიყვანა და ზედ შესვა. ივანეს ცხენისათვის მათრახი გადაუკრავს და ჭენებით წაუყვანია, ცხენი ბაისურამდე (ადგილია ბახმაროს გზაზე). იქ წყლის დასალევად ჩამომხტარა. უყურადღებოდ დატოვებული ცხენი კი ცივ წყალს დაწაფებია და მომკვდარა. ივანეს ცხენისათვის მოუხსნია უნაგირი, ზურგზე მოუკიდნია და შინ დაბრუნებულა, როსტომი განრისხებულა, გაოფლებულ ცხენს წყალი, როგორ დაალევინეო და ივანესათვის სილა გაურტყამს. ეს შეურაცხყოფად მიუღია ივანეს, შინიდან გაქცეულა და ბათუმში ჩასულა. ეს მოხდა 1880 წელს, მაშინ ბათუმი გამოცხადებული იყო უცხოური საქონლის უბაჟო შეტანა-გამოტანის უფლების მქონე ნავსადგურად ანუ პორტო-ფრანკოდ.

ბათუმში რამდენიმე ხნის ხეტიალის შემდეგ, ის გაეცნო ორ რაჭველ მოგზაურს, რომლებიც ერთ-ერთ გემზე ცეცხლფარეშად მუშაობდნენ, რაჭველებს ივანე მიუყვანიათ კაპიტანთან, რომელსაც მოსწონებია ტანმორჩილი, მაგრამ კვირცხლი ბიჭი და ცეცხლფარეშად აუყვანია, იმ დღეს დაძრულა გემი ნავსადგურიდან და დაახლოოებით 50 დღის შემდეგ ნიუ-იორკში ჩასულა.

გემზე შრომით განაწამებ ივანეს უარი განუცხადებია ცეცხლფარეშობაზე, ვიღაც ხაბაზთან მოწყობილა სამუშაოდ. აქაც მძიმე შრომა უწევდა, როგორც კი ცოტაოდენი ინგლისური შეისწავლა ხაბაზიც მიუტოვებია და ნიუ-იორკის ცირკში მოწყობილა დამლაგებლად.

ბავშვობიდანვე ცხენოსნობაში გაწაფულმა ივანემ მალე მიიპყრო არაბი მოჯირითის ყურადღება. მან ივანე აიყვანა თავისი ცხენის მომვლელად. ივანე კაპიკს კაპიკზე ადებდა და როცა საკმაო ფულს მოუყარა თავი არაბული ცხენი იყიდა, მოჯირითე არაბმა კი თავის ატრაქციონში ერთი ნომერი დაუთმო.

ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ივანე გაჭენებული ცხენიდან მანეჟში გადაგდებულ მონეტებს იღებდა. მაყურებელს მოსწონდა ახალგზრდა ულვაშიანი ბიჭის გამოსვლა ცირკში და აპლოდისმენტებს არ იშურებდა.

არაბმა ივანეს გაუზარდა ხელფასი, რამაც მას მეორე ცხენის ყიდვის შესაძლებლობა შეაძლებინა, ამის შემდეგ ივანემ დატოვა არაბის შოუ და შექმნა თავისი ცირკი და ფულიც მეტი დააგროვა. წერილი გაუგზვნა მშობლებს და აცნობა, თუ სად იმყოფებოდა.

ივანე 1885 წელს დაბრუნდა მამისეულ სახლში, რომელიც დაშალა და მის ადგილზე ამერიკულ ყაიდაზე რვათვალიანი სახლი ააშენა. 1886 წელს კი დაქორწინდა ნინო კალანდარიშვილზე.

მოჯირითეთა შესარჩევად ბათუმში ამერიკული ცირკის წარმომადგენლის თომას ოლივერის (1863-1943 წ.) ჩამოსვლის შემდეგ ამერიკის კონსულთან მყოფ კირილე ჯორბენაძის უშუალო დახმარებით თომას ოლივერი შეხვდა ივანე მახარაძეს, შეირჩა პირველი ჯგუფი: ივანე მახარაძე - „მათრახა“, ძმები პავლე და სილიბისტრო, ბიძაშვილები: ქიშვარდი და ივანე მახარაძეები - ივანე პატარა ანუ „ჩოხაგრძელა“, ივანეს ცოლისძმები ყარამან და გიორგი კალანდარიშვილები, ლანჩხუთიდან ლუკა ჩხარტიშვილი და ფოლტა ცინცაძე, ეს იყო პირველი ჯგუფი, ხოლო მისი ლიდერი „პრინცი ივანე მახარაძე“.

რუსი კაზაკები (ასე ეზახდნენ გურულ მოჯირითეებს) პირველად ბაფალო ბილის უაილდ უესთის შოუს შეუერთდნენ ლონდონში, 1892 წელს ჯგუფში შედიოდა 18 დან 25 წლის, ასაკის 10 კაცი. მათი ლიდერი იყო ივანე მახარაძე, მას დაუკავშირდა აგენტი ერკოლი, რომელმაც ყველანაირი საორგანიზაციო საქმე მოაგვარა ლონდონში მის ჩამოსაყვანად.

1892 წლის 28 მაისს ლონდონური გაზეთი “Pictorial World” - აღნიშნავდა: „ახალი ატრაქციონი ემატება, ისედაც მშვენიერ ერლ ქორთში, ორშაბათს ჩამოვიდა რამდენიმე დონის კაზაკი და ისინი, როგორც ჩვენ გავიგეთ მონაწილეობას მიიღებენ წარმოდგენებში“.

გურული მოჯირითეები ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გამოჩნდნენ 1893 წელს ადამ ფორეპას და ბაფალო ბილის შოუში.

ამის შესახებ გაზეთ „ივერია“ 1893 წლის 13 თებერვლის ნომერში წერდა: „ბათუმი ამასწინად აქედამ აქედან წავიდა ჩიკაგოს გამოფენის გამგებელთა სანდო კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეჰკრიბე რამოდენიმე ცხენოსანი გურული ვაჭკაცი და ჩიკაგოს გამოგზავნეო. ამ კაცს უკვე შეუკრებია ეს დასი, რომელშიც 10 კარგი ვაჭკაცია მშვენივრად გამოწყობილი და შეთოფიარაღებული. ეს დასი 13 თებერვალს უკვე ჩავიდა ბათომს და მოკლე ხანში გაემგზავრა კიდეც ამერიკას“.

გურული ცხენოსნები ნიუ-იორკში ჩავიდნენ 1893 წლის 10 აპრილს გემით „სპარსეთის მონარქი“. ჯგუფში შედიოდნენ პრინცი ივანე მახარაძე,, ლუკა ჩხარტიშვილი, ქიშვარდი მახარაძე, ყარამან კალანდარიშვილი, ივანე (პატარა) მახარაძე მეტსახელად „ჩოხაგრძელა“, ს. დგებუაძე, სილიბისტრო მახარაძე, გიორგი კალანდარიშვილი, იოსებ ტალახაძე, პავლე მახარაძე. მათ ხან კაზაკებს, ხან რუსეთის კაზაკებს და ხან კავკასიის ებრაელებს უწოდებენ.

1892 წლის 25 ივნისს გურულებმა ივანე მახარაძის ხელმძღვანელობით დედოფლის, მისი შვილებისა და წარჩინებულ პირთა წინაშე იჯირითეს. კაზაკების გაჭენებულ ცხენზე უკუღმა ჯირითის შემყურე პრინცი ჰარი მიუბრუნდა დედოფალ ვიქტორიას და გერმანულად უთხრა: „დედა თქვენ

ფიქრობთ, რომ ესენი მართლა კაზაკები არიან? სანამ დედოფალი უპასუხებდა მე (ნოე სოლსბერსი) მიუგე, გარწმუნებთ, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ ხედავთ სცენაზე და რასაც ისინი წარმადგენენ ყველაფერი ნაღდია, დედოფალი იმდენად ნასიამოვნები დარჩა, რომ გურულებს გადასცა მათივე ფოტოსურათებით სავსე ალბომი და ქებისა და მადლობის ადრესი ოცი ათასი კაცის ხელმოწერით.

ცხენოსანთა საერთაშორისო აკადემია საუკეთესო მოჯირითეებს ძვირფასი საჩუქრებითა და გულზე დასაკიდი ოქროს მედლით აჯილდოვებდა, რომელსაც გაჭენებული ცხენის ფორმა ჰქონდა. ასეთი მედლით დაჯილდოერული იყვნენ ივანე, პავლე მახარაძე, ლუკა ჩხარტიშვილი.

ქართველები გახდნენ შეუცვლელნი ბაფალო ბილში, ისევე როგორც ინდიელები, უფრო მეტიც, ველური დასავლეთის მკვლევარი დი ბრაუნი წერდა: ჯირითობა როდეოში შემოვიდა ყაჩაღანა კაზაკენის დასიდან, დაიტერესდნენ, რა კაზაკების ტრიუკებით, რომლებიც სრულდებოდა გაჭენებულ ცხენზე, ვესსტერნმა კოვბოებმა მალე წარუდგინეს მისი სახესხვაობა ამერიკულ როდეოსს.

ივანე მახარარაძის ტუნრე საზღვარგარეთ დაახლოებით 4 წელს გაგრძელდა, შემდეგ იგი ქვედა ბახვიში ცხოვრობდა; გარდაიცვალა 1921 წელს, დაკრძალულია ქვედა ბახვის ეკლესიის გალავანში.

კაზაკების იმპერატრიცა

„ვისაც არ უნახავს ქართველ ქალთა ჯირითი მისთვის ძნელი არ იქნება დაიჯეროს, რომ ესენი ამორძალები არ არიან, რადგან მამაკაცებივით ცხენიდან ცხენებზე და აჭენებენ“.

კასტელი XVII საუკუნე

30 წლის განმავლობაში 150 მდე გურული მანდილოსანი და მამაკაცი 10-12 კაციან ჯგუფებად 105 ჯერ იყვნენ ევროპასა და ამერიკის შეერტებულ შტატებში. მათ მრავალი ქება და ჯილდო დაიმსახურეს, მთელი ამ ხნის განმავლობაში არ სიამოვნებდათ მიუღებელი ზედწოდება - „კაზაკები“, „რუსეთის კაზაკები“, ამას ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ.

პარიზში ყოფნისას თედო სახოკიას შესჩიოდნენ „სიკტილი რავა არ არის, ყველა კაზაკებს გვეძახის და ჩვენ ისიც ვერ გავაგებინეთ, რომ საქართველოს შვილები ვართო“.

ამის შესახებ 1903 წლის 13 აპრილის გაზეთ „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „იმ ხანად საფრანგეთში მყოფმა გურულებმა დიდი აურზაური გამოიწვიეს, იარაღასხმულები ნამდვილ მეომრებს მოაგონებდა პარიზელებს, სადაც კი გაივლიდნენ ქუჩაში ტევა არ იყო, ქართველები ყველას კაზაკები ეგონათ აქეთ-იქიდან ეძახოდნენ, „ვივ კოზაკ“, „ვივ კოზაკ“.

ცნობილია, რომ გურულ მოჯირითეებთან ერთად ჯირითობდნენ და სასწაულებს ახდენდნენ გურული მანდილოსნებიც: მარო და ბარბალე ზაქრეიშვილები, ქრისტინე ნოდია ცინცაძისა და ფრიდა მგალობლიშვილი.

მარო ზაქარეიშვილი სამფერდჩაკერებული ცხენის ჭენებით და ჯირითით გამოირჩეოდა. დიდ ინტერესს იწვევდა ცალი ფეხის ყაბარდული, მაკრატელა, მხარყირა და დგომი. იგი მონაწილეობდა დოღ-მარულაში, დას ტოლს არ უგდებდა ბარბალე ზაქარეიშვილი, რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა თანამემამულე ქრისტიფორე იმნაძეს, შემდეგ ცოლ-ქმარი ამერიკაში დარჩა საცხოვრებლად, ბარბალეს შემდგომ წლებშიც არ შეუწყვეტია ცირკში მუშაობა.

ცხოველ ინტერესს იწვევდა ქრისტინე ნოდია-ცინცაძისა. იგი გამოირჩეოდა მხედრული გაწაფულობით და გაბედულობით. ქრიტინე დაიბადა სოფელ სუჯუნაში, სამეგრელოში, გათხოვდა ლანჩხუთში, ჯირითი ძმამ ასწავლა, ერთ-ერთი ჯირითის დროს მან ყბა დაკრა მიწას, და კბილები ჩაემტვრა, მაგრამ უმალვე წამოიჭრა, ხელი მოევლო ცხენისთვის და გააგრძელა ჭენება, მამაცი საქციელისათვის იგი ცირკის მეპატრონემ ძვირფასი სამოსით, საათით და ბეჭდით დააჯილდოვა.

ასევე გამორჩეულობით ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა ფრიდა მგალობლიშვილი, ამერიკული პრესის მიხედვით, იგი ყველაზე აღმატებული მანდილოსანია, რომელიც მხედრული ოსტატობითა და განსწავლულობით გამოირჩევა. ამერიკული პრესა მას „კაზაკების პრინცესას“, „კაზაკების იმპერატრიცას“ უწოდებს.

ფრიდას მიერ მიცემულმა ინტერვიუებმა ჟურნალისტებს საშუალება მისცა აღეწერა ფრიდა და მისი მოძრაობის მარშრუტი: „მისი განათლება გამაოგნებელია, იცის ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ლათინური, ამას ემატება დახვეწილი გემოვნება, მუსიკა, ხატვა და სხვა მაღალი ფასეულობებიც არ იყო უცხო მისთვის. (“პიტსბურგ პოსტი“, სამშაბათი, 2 მაისი 1893 წელი).

ეს ინტერვიუები წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო ფრიდას არამედ, საერთოდ გურული, მოჯირითეების ცხოვრებაზე. ფრიდამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის იყო 22 წლის და ხცოვრობდა მთებს შუა სოფელში ოზურგეთში, რომ ბავშვობიდან ცხენი იყო მისი მეგობარი და ჯირითი - გართობა.

ბავშვობას ასე იგონებს: ხელსაქმეს, პიანინოს და მანდოლინას სხვადასხვა მასწავლებლები ასწავლიდნენ. 12 წლის ასაკში დატოვა მოსაწყენი პროვინცია და შავი ზღვის გავლით განათლების მისაღებად გაემგზავრა პარიზში.

ერთ-ერთი ჟურნალისტი დაინტერესდა ფრიდას გარდერობით პრინცესა ფრიდა ატარებს მუხლებამდე კაბას, მხოლოდ ის არის ქალი „კაზაკთა შორის, ეს არის მისი ეროვნული ტანსაცმელი. და ისე უხდება, ყველა ქალს შეშურდება, მას აქვს თავისუფალი მოძრაობა, გრაციოზულობა, რომელიც ყველა ქალს შეშურდება, მას აქვს თავისუფალი მოძრაობა, გრაციოზულობა, რომელიც ყველა ქალს უნდა ჰქონდეს“ - (პიტსბურგ პოსტი, სამშაბათი, 22 მაისი) -- პრინცესას აცვია მაალყელიანი ჩექმები მოკლე ქვედა ბოლოზე“.

1893 წლის 23 აპრილს „ვაშოგტონ პოსტი“ იუწყებოდა:იმ არა ჩვეულებრივ განათებულ კარავში, ყველაზე აღმატებული კაზაკები იყვნენ, რომლენიც თავიანთი ლიდერის დიმიტრის ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ ამერიკაში. პრინცს თან ახლავს, თავისი ცოლი პრინცესა დიმიტრი (ფრიდა), რომელიც ერათ ერთია კაზაკთა შორის, ვინც ინგლისურად ლაპარაკობს, მან განათლება მიიღო პარიზში, საუბრობს ფრანგუ-კავკასიური აქცენტით.

დიმიტრის და ფრიდას ამერიკული პრესა მოიხსენიებს, როგორც ცოლ-ქმარს, მაგრამ ეს ასე არ იყო, მათი ურთიერთობა სულ სხვა გვარი გახლდათ. ალბათ, დიმიტრი ითვალისწინებდა ფრიდას უფროსი ძმის მდგომარეობას და უსაფრთხოების მიზნით ქმრის როლს თამაშობდა, რასაც ადასტურებს ერთი ფაქტი, ამერიკული პრესიდან ცნობილია, რომ ერთმა შავკანიანმა შეურახყოფა მიაყენა ფრიდას, მას უმალვე მიეჭრა პრინცი დიმიტრი და მიწას დაარარცხა.

რეჟისორი და მკლევრი ირაკლი მახარაძე თავის წიგნში „უაილ უესთის მხედრები“ წერს: დღემდე ფრიდას შესახებ ძალიან ცოტა, რამ არის ცნობილი, იგი დაიბადა 1871 წლის 7 აგვისტოს ოზურგეთში ან მის შემოგარენში, როგორც გამოირკვა, მგალობლიშვილი მისი გვარი არ არის და არ ენათესავება დიმიტრი მგალობლიშვილს, თუმცა ხშირად პრგრამაში, როგორც ცოლ-ქმარი ისე იყვნენ მოხსენიებული (ი. მახარაძე, ა. ჩხაიძე „უაილდ უესთის მხედრები“ თბ. 2000წ. გვ 35).

1894 წლის 1 აპრილის „მორნინგ ჯორნალ“-ში დაიბეჭდა ინტერვიუ ფრიდა მგალობლიშვილთან, სადაც ჟურნალისტი მას ნადვილ ლედის უწოდებს: „შეიძლება ითქვას, რომ ჩემთან ერთად დაიბადა, რაც თავი მახსოვს ცხენის ზურგი იყო ჩემთვის, როგორც აკვანი, სპეციალურად ჩემთვის ცხენზე ჯდომა არავის უსწავლებია... ყველა ტრიუკი, რასაც წარმოდგენების დროს ვასრულებ ამას ვაკეთებდი გასართობად და სხვადასხვა შეჯბრებაში, რომელიც ჩემს სამშობლოში ტარდებოდა... ჩვენ კაზაკი ქალები მიუხედავად იმისა, რომ ხმის უფლება არ გვაქვს და არ ვმონაწილეობთ იურისპრუდენციასა და მედიცინაში, უფრო თავისუფლები ვართ, ვიდრე თქვენი ამერიკელი ქალბატონები... ჩემს ქვეყანაში კაცებსაც და ქალებსაც ერთი წესჩვეულებანი გვაქვს, ქალები თითქმის თავისუფლად ეწევიან სასიამოვნო რბილ თამბაქოს, რომელიც ჩვენ მოგვყავს ან თურქეთიდან ჩამოგვაქვს, ჩვენთან ასევე თავისუფლად სვამენ მშვენიერ კავკასიურ ღვინოს, ჩვენ ვართ ღვინის და არა არყის მსმელები რუსებისაგან განსხვავებით. ჩვენ ძალზე ფხიზელი ხალხი ვართ. ლოთობა თითქმის უცნონია ჩვენთვის ალბათ ჩვენი კლიმატია დამნაშავე ამ ჰარმონიისა, რაც ჩვენში სუფევს,

სუფთა ჰაერზე ცხოვრება საწინდარია, ჩვენი ჯანმრთელობისა, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ისევე, როგორც კათოლიკეები, გვაქვს ბევრი წმინდა დღესასწაული. დაუშვათ თქვენ ჩახვედით კაკასიაში, იქ არ დაგჭირდებათ სარეკომენდაციო ბარათი. თქვენი სტუმრობით მოხარული იქნებიან, ყველაზე საუკეტესო ოჯახები და იქ იცხოვრებთ იმდენ ხანს,რამდენსაც მოისურვებთ, ყველაფერი, რაც კი სახლშია თქვენს განკარგულებასი იქნება... ჩვენ უმეტესად ვცხოვრობთ სოფლის მეურნეობის ხარჯზე და ნადირობით. მახსოვს ჩემს ბავშვობაში გარეულ ნადირს პირდაპირ ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრიდან ესროდნენ.

ჩვენი მთავარი სასმელი ღვინის შემდეგ არის ჩაი. რომელიც ჩვენში მოდებულია და ძალიან კარგი ხარისხისაა. ჩვენი ხალხი ძალიან კარგი მჭამელია, მაგრამ სიმსუქნე იშვიათია ჩვენში, კაცები გამხდრები არიან, მგრამ უფრო ძლიერები არიან ვინც მე აქ მინახავს.“

პრესა იუწყებოდა,რომ პრინცესა ფრიდა ჯირითობდა ხან ერთი, ხან ოთხი ცხენით, ვინც კი ნახა მისი ეტლებით ჯირითი „მედისონ სკვერ გარდენში“, ან მისი მოხდენილი და საოცარი ჯირითი გაშმაგებულ ცხენებზე, ის მაშინვე მიხვდება ფრიდა დაბადებულა, რომ მონუსხოს მთელი მსოფ-ლიო განსაცვიფრებელი ჯირითით.

როგორც გამოირკვა დიმიტრი მგალობლიშვლის მამა გიორგი მამინაცვალი იყო ფრიდას. ფრიდას დედა მაკა, ჭყონიას ქალი, წარმოშობით ლანჩხუთიდან იყო. იგი გათხოვილი ყოფილა ოზურგეთში ილიკო დოლიძეზე. ილიკო გარდაცვლილა. გიორგის ნათესავები ჰყოლია ილიკო დოლიძის მახლობლად. მას გაუცნია მაკა, ლამაზი ქალი და მოუტაცნია. მაკას ჩოხატაურში -ონჭი-ქედში ქალიშვილები წაუყვანია, ვაჟები ოზურგეთში დაუტოვებია.

გიორგის ძმა ილარიონი მღვდელი ყოფილა, მისი შვილები სწავლობდნენ საფრანგეთში, როგორც გამოირკვა, ფრიდა მამინაცვალის ძმის - ილარიონის შვილებმა წაიყვანეს სფრანგეთში, იქ მონასტერში მიაბარეს და რადგან მგალობლიშვილის ოჯახში იზრდებოდა მამინაცვალმა - გიორ-გიმ მისცა გვარი.

ფრიდა მხოლოდ 1893-1894 წლებში ჯირითობდა ამერიკაში შემდეგ უჩინარდება, ალბათ, საფრანგეთში დაბრუნდა, მაგრამ მისი შემდგომი ბედი არ ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოჯირითეს ბედი უსამართლოდ მოექცა, გურულ მოჯირითეთა ისტორიები არ კვდება იგი ცოცხლდება მკვლევართა მიერ. ამის ნათელი დასტურია სულ ახლახან ბახველი მოჯირითის ქიშვარდი მახარაძის შთამომავლების სტუმრობა ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში და სახელოვანი ბაბუის შესახებ მასალებიხს მოძიება.

Jo Anne Steinberg, Cline Studio

George Georgian, ca. 1913, Australia

Author's Collection

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ამირან ცამციშვილი „ქართველი ცხენოსნები უცხოეთში“, თბ. 1958 წ.
ირაკლი მახარაძე, აკაკი ჩხაიძე „უაილდ უესთის მხედრები“, თბ. 2001 წ.
ირაკლი მახარაძე „გურული მოჯირითეები ამერიკასა და ევროპაში. თბ. 2011 წ.
ერთხელ ამერიკაში გურული მხედრის ჩანაწერები, თბ. 2004 წ.
რიჩარდ ჯორჯიანი GEORGIAN RIDER CHRONICLES-THE ADVENORES OF GEORGIAN RIDERS IN AMERICA.
გაზეთი „ივერია“ 12 ივნისი N 121, თბ. 1892 წ.
გაზეთი „ივერია“ 16 ივნისი N 124. 1892 წ.
გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 12 აპრილი 1903 წ.
გაზეთი ცნობის ფერცელი 16 აპრილი 1903 წ.
გაზეთი „კვალი“ N 11. 1897.
გაზეთი „ახალგაზრდაკომუნისტი“ N46 , 1955 წ.
გაზეთი „თბილისი“ 1958 წ.
გაზეთი „ალიონი“ 6 ოქტმბერი 2000 წ.
გაზეთი „ლე რეველ დე ლიონი“, 1903 წ.